აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26

06/09/2020 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „სოციალური სამართლიანობისათვის“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 76[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „სოციალური სამართლიანობისათვის“ მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს წარმოდგენილი (№07/20) (უსკოში რეგისტრაციის №01-26/69) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება **„სოციალური სამართლიანობისათვის“** - საარჩევნო სახელწოდებით: **„სოციალური სამართლიანობისათვის“** და მისი წარმომადგენელი **მარინე ხანთაძე.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე